

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის  
შესახებ 2019 წლის ანგარიში

10 დეკემბერი, 2019 წელი

**წარმდგენი:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

**მიმღები:** საქართველოს პრემიერ-მინისტრი/საქართველოს პრეზიდენტი/საქართველოს პარლამენტი

დეპარტამენტში, 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 199 წერილი.

აღნიშნული მოთხოვნებიდან დეპარტამენტის მიერ სრულად დაკმაყოფილდა 183 განცხადება, 2 განცხადებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საჯარო ინფორმაციას, 3 წერილი არ იქნა წარმოდგენილი ქართულ ენაზე და განმცხადებელს ეთხოვა წერილის ქართულ ენაზე წარმოდგენა, 4 წერილი გახმოვანი იქნა განმცხადებლის მიერ, ხოლო 7 განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულ იქნა დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2019 წლის განმავლობაში მსგავსი მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

დეპარტამენტი სარგებლობს ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემით (eHRMS), რომელიც მოიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და მასზე წვდომა გააჩნია დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულს, მისი კომპეტენციის ფარგლებში. ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

დეპარტამენტში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, სადაც თავს იყრის ყველა სახის კორესპონდენცია, მათ შორის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები და შესაბამისი პასუხები. დეპარტამენტს არ გააჩნია ცალკე საჯარო მონაცემთა ბაზა, თუმცა, დეპარტამენტის განახლებულ ვებგვერდზე, ყოველკვარტალურად ქვეყნდება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული ყველა განცხადების მოკლე ანოტაცია მარტივი ელექტრონული რეესტრის სახით.

დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტები.

დეპარტამენტში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები. ამასთან, არ დაფიქსირებულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის გადახდის ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე) **ფიქრია კვერნაძე**, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) **სალომე წურწუმია**.